ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის




წელიწადი მე-III. № 13 ივლისი, 1907 წ.



ტფილისი
ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.
1907

საქართველოს სახელმწიფო * თბილისი * საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I — * * *. — ლექსი იასამანისა . . . . . . . . . . 3

II — მშიშარა ანიკო. მოთხრობა — ცქვიტისა . . . . 5

III — ვირის თავგადასავალი. თარგმანი — ნინო ყიფიანისა . . 11

IV — მძარცველი. — იგავი ალ. მირიანაშვილისა. . . . 17

V — პრუტყვების გონიერება: დათვი და ბიჭი. თარგმანი ნინო მაჭავარიანისა . . . . . . . . . . 19

VI — ლომი და მელია იგავი ლ. ბ-ისა. . . . . . . 21

VII — გასართობი: — გამოცანები, — რებუსი და ახსნა . 23

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *



შემოკრებილან ბიჭები,
ძნელი საქმე აქვს ყველასა,
ბრძოლისთვის ემზადებიან,
თან სხვებსაც სთხოვენ შველასა!
ბრძოლა მოელით უსწორო,
როგორც ეს გმირებს სჩვევია,
მოწინაღმდეგე ლაშქარი
საძნელო გასაქცევია.
გოგია, შალვა და პეტო
„მებრძოლ რაზმს" მეთაურობენ,
„ბარიკადებზე" დროშასთან
„მტრის ლაშქარს" უთვალყურებენ;
დროშა-კი წითლად ფრიალებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი, არც ეგრე ძვირფასი,
შემთხვევით აღმატებული
ნაფეშტამლარი ლიზასი...
შალვას უსულო მერანი
მხოლოდ მატრასზე დაიძვრის,
ერთ თვეს რომ არრა აჭამოთ,
სრულად არაფერს არ იტყვის!
პეტროც ნაქები ბიჭია,
საომრად მარტო გამოდის...
რა ვუყოთ, რომ ქარქაშიდან
მის ხმალი აღარ ამოდის!
„ბრძოლისა ველზე“ იცდიან,
უთვალთვალებენ მტრის რაზმსა,
მაგრამ არსით ჩანს ეს რაზმი,
ველარ მიაგნეს მისს გზასა!
შეღამებულზე მებრძოლნი
სახლისკენ აიშლებიან
და, უბრძოლველად, ბრძოლისას
რაღაც სიმღერას მღერიან.
თან „დროშა“ უძღვით ძველადა
სადღაც კუთხეში გდებული,
ნაფეშტამლარი ლიზასი,
შემთხვევით აღმატებული!

**იასამანი.**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მშიშარა ანიკო

(დასასრული)

გამოფხიზლებისთანავე ანიკოს სწრაფად მასწავლებლის დაპირება მოაგონდა და ეს უკანასკნელი-კი საკმარი იყო მის გასამხნევებლად და გასაცოცხლებლად; ხელად ჩაიცვა, აიღო პირსახოცი და გასწია წისქვილისკენ პირის დასაბანად. გაგიჟებით უყვარდა ანიკოს ეს ადგილი და მართლა საყურადღებოც იყო: წმინდა, ანკარასაებ წყალი, სადაც მის ძირზედ თითო კენჭიც-კი ჩანდა, ორ ლობეს შუა ცელქად მოჩქრიალებდა. შემდეგ წისქვილთან უფრო მდორედ იზლაზნებოდა და შემკრთალივით ერთ ალაგას შეგუბებული უკან ტრიალდებოდა, თითქოს აქ ისევ ძალას იკრებდა და ახლა რიხიანად მირს, ბორბლის დასამლევად მიისწრაფოდა. უშველებელი კაკალი ჩრდილავდა იმ ალაგს, სადაც მრავალი ყვითელი ყვავილი სანთლებივით აჩაღებდნენ იქაურობას, მხოლოდ კაკალზედ მომღერალი მოლაღური ათასგვარად ასურათებდა ანიკოს გონებაში მასზედ გაგონილს ლეგენდას. დღეს-კი ანიკოს მათთვის ვერ მოეცალა; პირის დაბანაც-კი ვერ მოახერხა სიჩქარით. ოდნავ თვალებზედ კატასავით სველი ხელები მიისვ-მოისვა და უკანვე გამოჰკურცხლა. დედას მისთვის ერთი ჭიქა რძე და წიგნებით აბგა დაემზადებინა, მაგრამ ანიკომ რძეზედ უარი განაცხადა, აბგაში ერთი ვეებერთელა პურის ყუა ჩასდო და აჩქარებული ნაბიჯით სკოლისაკენ გაემგზავრა.

სკოლაში ყველანი ადრე მოსულიყვნენ. ბიჭებს თავი ცალკე მოეყარათ სკოლის გვერდზედ და დილა ადრიან კოჭაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაემართათ. ანიკო რომ ადრე მისული დაინახეს, მისმა ამხანაგებმა გულიანი სიცილი მორთეს და ერთმა მათგანმა, ელისომ წინ მიგებებით უთხრა: „ანიკო, დიდი გავლენა ჰქონია იმ დალოცვილ ალს შენზედ, რადგანაც, მადლობა ღმერთს, დღეს მაინც გიკადრია ადრე ადგომა. მე რომ მასწავლებლისა ვიყო, მაგვარი დაპირებით დავაჩვევდი ადრე ადგომას შენისთანა მილის გუდებს. ანიკო ამ სიტყვებზედ ცოტა არ იყოს გაწითლდა და მორცხვად მიესალმა ამხანაგებს, რის შემდეგ შეგროვილმა გოგოებმა ამ საგანზედ გააბეს სჯა და ბაასი.

„სუთ, გოგოებო, თქვე გასაწყვეტნო, რა გაჩოჩქოლებთ ეგრე, ქვეყანა ხომ თქვენ არ დაგრჩენიათ? დასწყევლოთ ღმერთმა, რა საძაგლები არიან ე გოგოები! დაგავიწყდათ განა თქვენი პირობა, თქვე ბატის ტვინებო თქვენა! ასე ილანძღებოდა კოპწია ვასო და თავისი „სუთი“ სიჩუმეს ამყარებდა.

„დაკა, ბიჭო, დაკა მაღლიანად, რომ ფერდები შეანგრიო! არა თქვე უსინდისოებო, არა გრცხვენიანთ, რომ ერთი წვერმოტეხილი კალმის გულისთვის კრივსა მართავდით“ — ზიზღით და დაცინვით მიუხტა ვასო ახლა სკოლის კარებში მოჩხუბარ ილიკოს და ვანოს, მაგრამ ბევრი გასჯა არ დასჭირებია, რადგან გაისმა ზარის წკრიალი და ახლა ყველა ცდილობდა საჩქაროდ დაეჭირა თავისი ალაგი და სასწავლებლად წიგნები მოემზადებინა.

გათავდა მესამე გაკვეთილი და მასწავლებელმა გადაშალა პაწია წიგნი, რომლის ყდაზედ მსხვილი ასოებით „ალი“ ეწერა. ოთახში მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ სანამ მასწავლებელი კითხვას დაიწყებდა, ყველას ჩახველება და ქლუშუნი მოუნდა, გეგონებოდათ, სამღერლად ემზადებიან და არა სასმენლადაო.

გაისმა წყნარი, აუჩქარებელი ხმა მასწავლებლისა და ანიკოს ჭკუა-გონებაც თან გაიყოლა... შაქროს *) მაგივრად

*) „ალში“ აწერილ ბიჭის სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანიკო აზრით ტყეში თხილს თვითონ დაეძებდა და შემდეგ გაწეწილი ალიც ოქროს სავარცხლით მას მკაფიოდ ეხატებოდა. აგერ გაათავა კიდეც მასწავლებელმა მოთხრობა და ახლა მრავალ კითხვებზედ პასუხს აძლევდა ბავშვებს, რომელნიც თითქმის ერთ ხმად აქეთ-იქიდგან ერთმანეთს არ აცდიდნენ და ხან რას ჰკითხავდნენ, ხან რას. ანიკოს-კი თითქოს მათი ხმა არც-კი ესმოდა, იჯდა გარინდებულ და ეტყობოდა, რომ დიდხანს არ გამოირკვეოდა, თუ მასწავლებელს არ შეემჩნია ცნობის მოყვარისა და დაუწყნარებელის გატვრენა.

— „ანიკო, რად გაჩუმებულხარ ეგრე, განა შენ-კი არ მოგეწონა ეს მოთხრობა?“ ჩაეკითხა მასწავლებელი და ამ კითხვამ ანიკო მკვახე მუჯლუგუნსაებრ მაღლა შეახტუნა.

— „რა, არ მომეწონა? როგორ არა, ძალიან მომეწონა, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, ჩვენ წყლებშიაც არის ალი? შეეკითხა ანიკო და თან თვალები გაუშტერა.

— „არა, ანიკო, შენ მართალი-კი ნუ გგონია, ალი და ეშმაკი სულ ადამიანის მოგონილია. მხოლოდ, როგორც აქ წავიკითხეთ, მარტო ამ გვარ მშიშრებს ელანდებათ ხოლმე, თორემ ეშმაკი ქვეყანაზედ არა ოდესარ ყოფილა და არც იქნება, უპასუხა მასწავლებელმა და ცოტა არ იყო ანიკოს გული დაუმშვიდა.

დაბრუნდა ჩვენი ანიკო სახლში, თან გზა და გზა სულ ალზედა ფიქრობდა, მაგრამ შინ ისეთი სტუმარი დაუხვდა, რომლის სიყვარული ალს-კი არა, თვით ეშმაკსაც დაავიწყებდა. შორით მოსული, ანიკოზედ უარესი ცელქი, სანდრო ბოცირთან მიეგება სკოლიდგან მომავალ ანიკოს და სალამის მაგივრად აწითლებულმა ღრეჭით ჰკითხა: „ი, უსადილო იყავ განა, ანიკო? ვის გაუგონია ამდენ ხანს სწავლა, აგერ რამდენი ხანია სადილობაც მოვიდა და შენ-კი ვითომა სწავლობდი! აქ დახე, ამ მუცელს, შენ, ცდაში მე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცჯერ მივამეს სადილსა შენ-კი სიმშილისაგან ლასლასებ! გახარებულმა ანიკომ ტკბილად გაუცინა და მისალმების მაგივრად ქურდობაზედ მიიპატიჟა, ეს პატიჟი იმას დიდ პატივის ცემად მიაჩნდა და ამისთვის გვერდზედ გახახუნებით უთხრა: „დღეს შენ იცი როგორც გამიწევ კამპანიას... გახსოვს, ნენეს ცერცვი და მსხვილი ბალი“.

“იჰ, შენი სულისა, ბალს რა ეშმაკი დაავიწყებს? მხოლოდ იცი, ანიკო, რაც ჩქარა წავალთ, ის ეჯობინება; უთხრა სანდრომ და კვლავ ხელ-ჩართულთ გასწიეს შინისაკენ სადილის საჭმელად. მაგრამ სადილის დარდი ვიღასა ჰქონდა, ახლა მათი ჭკუა-გონება ბლით ჩატკბანურებამ გაიტაცა და ჩუმად ვენახისკენ გაცვივდნენ.

საშინელი ცხელი დღე იყო. შუაგული მზე რაც ძალი და ღონე ჰქონდა აჭერდა ცხარე სხივებს ქვეყნიერებას, თითქოს სულის შეხუთვას უპირებდა ყოველ სულდგმულს. ფოთოლი ხეზედ არ ინძრეოდა, ისე ჯანაბას დამალულიყო ჩვენი მუდმივი მაგრილებული სიო. ჩიტები სადღაც ჩრდილოში ულუმელ სიცხეს დაჰმალოდნენ, უიმათოდ-კი არე-მარე მივარდნილ მინდორს წააგავდა, მხოლოდ ზოგჯერ ურწყავიდგან მწერების ჭუკჭუკი ისმოდა და კალიების ხანგრძლივი სისინი სმენას ურუებდა ადამიანსა. მოდიან ჩუმად ჩვენი ქურდები და სულ იმის ვითარებაში არიან, როგორ გაივსონ ჯიბე, უბეები ნაპარავი ხილითა. აგერ მოუახლოვდნენ ნაფუზარსა, სადაც მხოლოდ ზემო თავში სიმინდი იყო დათესილი, დანარჩენ ალაგში-კი ყაყაჩოს ზღვა ადამიანს თვალსა სტაცებდა. ნაფუზრის თავშივე, ვენახის პირად ღოღნოშოს ქვეშ წალმის კონები კედელსავით იყო აშენებული და მაზედ მჯდომი კაჭკაჭი ხარბად რაღასაცა ჰკორტნიდა.

„აქ კი ჩუმად, თორემ შეიძლება ნენე ვენახში გვყარაულობდეს, წასჩურჩულა ანიკომ და ფეხ აკრებით რუს იქით გადაეშვა. ამ დროს სიმინდში რაღაცამ გაიშრიალა და შეშინებული ანიკო ისევ მეორე მხარეს გადმოასკუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიაუ-მიაუ! დაიკნავლა სადღაც კატამ და სიმინდები ხელმეორედ შეაშრიალდა.

— „სანდრო, გესმის რა ხმა არის? მეშინიან, შენი ჭირიმე, მეშინიან, ცახცახებდა ანიკო. მოდი, ნუ წავალთ, თორემ ვაითუ... რა ვიცი, იქნება რამემ შეგვაშინოს, სჯობიან ისევ ხვალისთვის დარჩეს და ხვალ-კი....

ჯერ არ დაეთავებინა საბრალოს სიტყვა, რომ ახლა წალმის იქით რაღაცამ შეიშრიალა, თეთრად შებორბლილმა წოწოლოკინა, უცხვირ-პირო თავმა მაღლა ამოიწია უეცრად და ერთს წამში ისევ დაიმალა... ახლა-კი მთლად დაიბნა ანიკო, გული ისე უძაგძაგებდა, თითქოს ბუდიდგან გადმოვარდნას უპირებდა. მუხლები კი-გამოსაქცევად აღარ ემორჩილებოდნენ.

— „ჰხედავ სანდრო, ჰხედავ თეთრ ალსა, მიშველე, გენაცვალე, წამიყვანე ჩქარა, თორემ აგერ....

ამ დროს წოწოლოკინა თავმა კვლავ უფრო მაღლა ამოიწია, ბავშვების მხარეს გადმოიხნიქა და საშინელი ხარხარით ისევ მიიმალა.

— ვაიმე, ალი! შეჰკივლა ანიკომ.

— „წამოდი, გოგო, ჩქარა წამოდი, თორემ მეც მეშინიან, არ გესმის!— ეხვეწებოდა სანდრო და დაბღუჯულ კლაკს მალზედ ეწეოდა. ანიკომ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და კბილების კრაჭუნით შინისაკენ მოჰქუსლა. სანდროც უკან დაედევნა. ნენე-კი თეთრ თავშალში ფეხ და ფეხ მისდევდა და თან ილანძღებოდა: „აი თქვე მაიმუნებო, თქვენა! არც ეხლა დამანებებთ თავსა. ქურდ-ბაცაცებო! თქვე ურცხვებო თქვენა, შინამდე მიაღწია ანიკომ, მაგრამ კიბეზედ ვეღარ ავიდა და გულწასული დაეცა ეზოში. ანიკო მოასულიერეს და რა დაინახა ნენე, მიხვდა თავის სისულელეს მაგრამ მაინც ვერ დამშვიდებულიყო: პატიოსნებას ჰფიცავდა, ჩემს დღეში საქურდლად არ წავალ, ოღონდ ეგ ნენე თეთრი თავშალით გამეცალოსო. თან ცალი თვალით კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედა და გულში გაიფიქრა: ღმერთო ჩემო! ახლა-კი ნამდვილად მივხვდი, რომ ეჭმაკები და ქაჯები, როგორც მასწავლებელმა გვითხრა, სწორედ ჩემისთანა უსაფუძლო მშიშრების მოგონილია, თორემ, აბა რა უგავს იმ საწყალ ნენეს, იმ დამანჭულ და უცნაურ მოჩვენებას, როგორიც მე შიშისაგან მომეჩვენა. მივხვდი და ხოგი ეხლა შემაშინონ მაგისთანებმა... ასე ფიქრობდა ანიკო და თან თავ ჩაღუნული დარცხვენით კარებისაკენ იპარებოდა.

**ცქვიტი**



# ვირის თავგადასავალი

IV

**ხიდი**

ექვსი ვირი იყო ეზოში ჩამწკრივებული. მე ყველაზე კარგი და ღონიერი ვიყავ. სამმა პატარა ქალმა თივა დაგვიყარა, მე თან ვსჭამდი და თან ყურს ვუგდებდი.

კარლო

აბა, ბიჭებო, ამოვირჩიოთ ვირები. მე აი ამას ავიყვან, (და ჩემზე მიუთითა).

— შენ ყოველთვის ის უნდა ირგუნო ხოლმე, რაც ყველაზე უკეთესია! ერთხმად უთხრეს ხუთივე ბავშვმა.— წილი ვყაროთ.

ანტონი

— დავნიშნოთ ნომრებით, 1, 2, 3, 4, 5, 6, ჩავყაროთ პარკში და ყველამ სათითაოდ, რაც გვერგოს, ის ამოვიღოთ.

— მართალია, მართალი, შეჰყვირა ხუთივე ბავშვმა. ნესტორ, გააკეთე ნომრები და ჩვენ მანამდინ ვირებს ზურგზე დავაწეროთ.

— სულელები არიან, ვსთქვი ჩემს გულში. მაგათ რომ ვირის ჭკუა ჰქონდეთ, იმის მაგივრად რომ ნომრებს ზურგზე გვაწერდნენ და თავს იწუხებდნენ, აიღებდნენ და კედლის გასწვრივ ჩაგვამწკრივებდნენ: პირველი იქნებოდა 1, მეორე 2, და ასევე დანარჩენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაგენაძლევები, რომ ვერა! უთხრა მაშინვე კარლომ.

— დაგენაძლევები, რომ ჰო! უპასუხა ერნესტმა.

აი კარლომ შემოჰკრა ფეხი თავის ვირს და გასწია ჩაქ-ჩაქით. მანამ ერნესტი მათრახს დამკრავდა, მეც გავსწიე, მაგრამ ისეთი ნაბიჯით კი, რომ კარლოს და მის ვირს მალე დავეწიე. ერნესტი სიხარულით ცას დაეწია, კარლოს-კი გული მოსდის. ურტყამს თავის ვირს. ერნესტს ჩემი ცემა არა სჭირდება, ისე მივაქროლებ. ერთ წამში კარლოს გავასწარი. მესმის. სხვები რომ სიცილითა და ყვირილით გვიძახიან:—ვაშა, პირველო ნომერო, ვაშა! ისე მიაჭენებს, როგორც ცხენი!

თავ-მოყვარეობა მამხნევებს; მივაჭენებ, მინამ ერთ ხიდს არ მივადექი. უცებ შევჩერდი, დავინახე, რომ ხიდის ერთი განიერი ფიცარი დამპალი იყო. მე არ მინდოდა, რომ ნესტორთან ერთად წყალში მებანა, მინდოდა დაბრუნება იმათკენ, რომლებიც ბევრით ჩამოვრჩნენ უკან.

— აცე, აცე, ვირო! მეუბნეოდა ერნესტი.—ხიდზე, ჩემო კარგო, ხიდზე! მე უარზე ვარ, ის წკეპლასა მცემს.

მე სხვებისკენ მივდივარ.

— ჯიუტო! უხეშო პირუტყვო! მობრუნდები, თუ არა? გახვალ ხიდზე, თუ არა? მე მაინც ამხანაგებისკენ მივიწევ. შევყურთდი კიდეც მათ ამ ავი ბიჭის ცემა-ლანძღვის მიუხედავად.

— რადა სცემ, ერნესტ, შეჰყვირა კარლომ. ჩინებული ვირია: სულ დაოთხილი მიგაჭენებდა და ყველას გაასწარი.

— იმიტომ ვსცემ, რომ ჯიუტობს და არ უნდა ხიდზე გავიდეს. უთხრა ერნესტმა; უნდა, უთუოდ უკან დაბრუნდეს.

— ჰო? ეგ იმიტომ, რომ მარტო იყო; ეხლა, როცა სუყველანი აქა ვართ, ეგეც სხვებთან ერთად გავა.

„საწყლები, ვფიქრობდი მე, სუყველანი მდინარეში ჩაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინდებიან. იმდენს უნდა ვეცადო, რომ დავანახვო, რა საშიშია ხიდზე გასვლა.

გავსწიე ისევ ხიდისკენ, რის გამო ერნესტი დიდი კმაყოფილი გამიხდა და ბავშვებმაც მხიარული ყიჟინა დამცეს.

ხიდთან რომ მივედი, ერთი უცებ შევჩერდი, ვითომ რიღასიც შემეშინდა. ერნესტი გაოცებული მაჩქარებს გასვლას.



მე უკან ვიხევ შეშინებულის სახით და ეს ერნესტს უფრო მეტად აკვირვებს. სულელი, ვერაფერს ვერ ჰხედავს; დამპალი ფიცარი-კი ძალიან კარგად მოჩანდა. სხვებიც შემოგვიერთდნენ და იცინოდნენ, რომ ერნესტი ისე ჩამციებოდა გასვლას და მე უარზე ვიდექი. ბოლოს ყველანი ჩამოხტნენ. უწყალოდ მცემენ: მე არ ვინძრევი.

— კუდით გაიწიე! შესძახა კარლომ.— ვირი ისეთი ჯიუტია, რომ როცა უკან დაბრუნება გინდა, ის წინ მიიწევს.

აი, უნდათ კუდში მწვდნენ. მე უარზე ვარ და ტლინკებს ვისვრი. სუყველანი ერთბაშად მცემენ: მე მაინც არ ვინძრევი.

— მოიცა, ერნესტ, უთხრა კარლომ; მე პირველი გავალ და შენი ვირი უეჭველად მომყვება.

მე წინ გადაკელობე. ის მცემს და უკან მეწევა.

— ახლა-კი, რა ვქნა, ვთქვი ჩემთვის, თუ-კი ამ საძაგელ ბავშვს თავი უნდა დაიხრჩოს, მე ყველაფერი ვიღონე. შესვას ერთი ყლუპი, თუ-კი ასე ნებავს.

შესდგა თუ არა ფეხი მისმა ვირმა დამპალ ფიცარზე, მაშინადვე ჩატყდა და კარლომ და მისმა ვირმა წყალში ტყაპანი მოიღეს.

ჩემი ამხანაგისთვის საშიში არაფერი იყო, რადგან ცურვა იცოდა, როგორც ყველა ვირმა, მაგრამ კარლო-კი ფართხალებდა და ყვიროდა, მიშველეთო.

— ერთი საჭე! ერთი საჭე! იძახდა ის.

ბავშვები ყვიროდნენ და მირბი-მორბოდნენ. ბოლოს კაროლინამ დაინახა ერთი გრძელი საჭე, აიღო და კარლოს გაუწოდა. კარლო საჭეს მოეკიდა. მისმა სიმძიმემ კაროლინა და-



ითრია და ახლა იმან მორთო ძახილი—მიშველეთო. ერნესტი, ანტონი და ალბერტი მიიჭრნენ მასთან. ძლივს უშველეს და ამოათრიეს საწყალი კარლო, რომელსაც ისე არა სწყუროდა, რამდენიც წყალი ეყლაპა და რომელიც თავით-ფეხამდინ ამოწუწულიყო. რაკი გადარჩენილი ნახეს, ბავშვებმა მორთეს სიცილი, ისეთი საბრალო სანახავი იყო. კარლოს გული მოსდიოდა. ბავშვები მოახტნენ ვირებს და იმას სახლში დაბრუნება და ტანისამოსის გამოცვლა ურჩიეს. კარლო მთლად სველი შეჯდა თავის ვირზე. მეც-კი ვიცინე: ქუდი და წაღები მდინარეს მოეტაცნა, დასველებული თმები სახეზე მიჭკროდა, წყალი წურ-წურით ჩამოსდიოდა და გულ-მოსული სახით ხომ მართლა სასაცილო სანახავი იყო. ბავშვები კისკისებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, ჩემი ამხანაგები სიხარულით ტლინკავდნენ და მირბოდნენ.

ეს კი უნდა დავუმატო, რომ კარლოს ვირი ყველას გვეჯავრებოდა, რადგან ჩხუბი უყვარდა, ხარბი იყო და სულელი, რაცა ძალიან იშვიათია ვირებს შორის.

ბოლოს, კარლო მიიმალა, ბავშვები და ჩემი ამხანაგები დამშვიდდნენ. ყველამ მომიალერსა და მიქო ჭკუა. გავუძეღ წინ და წავედით შინისკენ.

**ნ. ყიფიანი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მძარცველი

## იგავი



საწყალ კაცს ცოლ-შვილი სიმშილით ეხოცებოდა და სახლში-კი სამუშაოს ვერ ჰპოულობდა. ადგა და შორის გზას გაუდგა. ერთს ტყეში შემოუღამდა. აქ წინ იარაღ-ასხმული ავაზაკი გადაეღობა და მრისხანედ უთხრა:

— ამოიღე, რაც რამ ჯიბეში გაქვს და ესლავ გადმომეცი, თორემ სანთელივით გაგაქრობო! — სთქვა ეს და ხელი ხანჯლის ტარზედ დაიდო.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, — მიუგო საწყალმა, — ღარიბი ვარ, შინ და გარედ არაფერი გამაჩნია; გაჭირვებამ მაიძულა სახლი მიმეტოვებინა; ორიოდე გროშის საშოვნელად მე თვითონ არ ვიცი, საით მივდივარო.

ავაზაკი ასეთმა პასუხმა არ დააკმაყოფილა. მივარდა მგზავრს და ჩხრეკა დაუწყო. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ამ კაცს მართალი ეთქვა და სრულიად არაფერი მოეპოვებოდა.

მგზავრის სიღარიბემ ავაზაკს გული აუმღვრია; გაბრაზებულმა ღონივრად სდრუზა საწყალს სილა და მრისხანებით უბრძანა:

— გასწი, თვალიდამ დამეკარგე, თორემ არ ვიცი, რას გიზამო!

წავიდა საწყალი კაცი თავის გზით. მაგრამ ორ წამს არ გაევლო, რომ უკანიდამ ავაზაკის ძახილი შემოესმა:

— მოიცა, მოიცა, შენთან კიდევ საქმე მაქვსო!

გაჩერდა მგზავრი; ავაზაკიც მოეწია და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩქარა გაიხადე ეგ შენი ახალუხი, მე მომეცი და შენ ჩემი თავში ინარცხეო!

ავაზაკს მეტად გაცვეთილი ახალუხი ჰქონოდა და მგზავრის-კი იმაზედ ცოტად უკეთესი.

უკანასკნელმა თავისი გაიხადა, მძარცველს გადასცა და მას უვარგისი ჩამოართვა, თვითონ ჩაიცვა; მხოლოდ მასში მგზავრობა შეუძლებელი-ღა იყო, რადგან ეს ახლად შეძენილი ახალუხი სიძველის გამო არც სიცივეში უშველიდა, არც სიცხეში.

დაღონებული მგზავრი შინ დაბრუნდა. ცოლმა რომ უკან მიმავალი ქმარი დაინახა, ელდა ეცა:

— უი, დამიდგეს თვალები! ასე მალე რად დაბრუნებულხარო?

— ასე და ასეო, — მოუყვა საწყალი, კაცი.

უკანასკნელს ამ ამბის გაგებაზედ გული ამოუჯდა და თვალებში ცრემლი მოერია. მერე, როცა ცოტა დამშვიდდა, ქმარს ავაზაკის დაკონკილ-დაფლეთილი ახალუხი გაჰხადა და სინჯვა დაუწყო. ამ სინჯვის დროს, უბის ჯიბეში რაღაც შენიშნა; ჩაჰყო შიგ ხელი და რა აღმოჩნდა: სამოცი თუმანი სულ ოქროს ფული იყო მჩვარში გამოხვეული.

თურმე ავაზაკს წინად ნაძარცვი ფული იმ ჯიბეში ეგროვებინა და ახალუხის გაცვლის დროს-კი დავიწყებოდა.

**ალ. მირიანაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირუტყვების გონიერება

## დათვი და ბიჭი

ერთს ყინვიან საღამოს პატარა ბიჭი მიდიოდა ქალაქის ქუჩაში; საცოდავს ისე სცივოდა, რომ კბილი კბილს უცემდა. მიდიოდა ბაბანით და ფიქრობდა, სად შეეფარებინა იმ ღამეს თავი, რადგან ობოლი იყო და ბინა არა ჰქონდა.

სახლების ფანჯრები-კი გაჩირაღდნებული იყო; ჰხედავდა საწყალი ოთახებში მოთამაშე ბავშვებს. რამდენსამე სახლში დააკაკუნა კარი, მაგრამ საცა სთხოვა,—ღამე თავი შემაფარებინეთო,—ყველგან ცივი უარი სტკიცეს. ბოლოს ერთი გომური დაინახა, რომლის კარი ღია იყო; დაღუნა თავი და შიგ შევიდა. გომურში ჯაჭვით დაბმული დათვი დაჰხვდა, რომელიც მოეხვია, გაცივებულ ბავშვს და ბანჯგვლიან გულში ჩაიკრა. ბიჭს დასთბა და დაიძინა. ასე გაატარა ღამე.

დილაზედ პატარა ბიჭი ისევ სამათხოვროდ წავიდა, საღამოზედ-კი თავის კეთილ დათვთან დაბრუნდა და იმასთან დაიძინა. რამდენიმე დღის შემდეგ დათვმა შენიშნა, რომ იმისი მეგობარი მშიერი ბრუნდებოდა და იმ დღიდგან თავის ილ საჭმელს ბავშვს უნახავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ ბავშვი რომ დაბრუნდა, საჭმელი არ დახვდა, რადგან ჯერ დათვისთვისაც არ მიეტანათ, და ორივემ მშივრებმა დაიძინეს. ცოტა ხანს უკან გომურში შევიდა მსახური, საჭმელი მიუტანა დათვს,—და საშინლად გაოცდა, როდესაც თვალ წინ წარმოუდგა დათვთან მშვიდად მძინარი ბიჭი. მეტადრე ის უკვირდა, რომ საჭმლის დანახვაზედ დათვი არ შეინძრა, ბავშვი არ გავაღვიძოვო. მსახური დაბრუნდა თავის ბატონთან და უამბო ნახული; უკანასკნელმა შეჰკრიბა თავის მეზობლები და შევიდა გომურში; ყველანი გაოცებით შეჰყურებდნენ დათვსა და იმის სტუმარს. ხალხის ხმაურობაზედ ბავშს გაეღვიძა და დაიწყო ტირილი,—ეშინოდა, ეს უკანასკნელი ბინაც არ დავკარგოვო; დათვი-კი ალერსით უსვამდა თავის თათებს და ჰკერძავდა თავის ვახშამს. მაყურებლები ისე იყვნენ გაოცებულნი დათვის ქველობით, რომ არ იცოდნენ, რა ეთქვათ; ბატონს-კი გული აევსო სიბრალულით, ბავშვი თავისთან წაიყვანა და შვილივით გაზარდა.

**ნინო მაჭავარიანისა.**



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ლომი და მელია

**(არაკი)**

(ჩაწერილი სპარსელ ქართველების ყოლამჰუსეინ ონიკაშვილის და ყოლამრეზ ხუციშვილის სიტყვით.)

ლომი ძლიერ ავად გამხდარიყო და უძრავად იწვა თავის ბუნაგში. მოსულიყვნენ სანახავად სხვა და სხვა მხეცები, თავს ევლებოდნენ და უვლიდნენ თავიანთ ბატონს. მხოლოდ მელია არსად ჩანდა. ყველა გაკვირვებული იყო და კითხულობდა, ნეტავ სად არის დღეს მელა, რამ არ მოსულა აქაო.

მგელმა დაუმატა: როცა საერთო მოლხენა და ქეიფია, მელა ხომ არასოდეს არ დააკლდება და დღეს რაღად მოვა, იცის რომ გამოსარჩენს ვერაფერს გამოელისო. ლომმაც ძრიელ იწყინა მელიის ასეთი უყურადღებობა.

მგლის ნათქვამი მხეცებმა მელიას გადასცეს. მელია გაჯავრდა, დამაცადოს, მე ვაყურებინებ იმას სეირსაო!

მეორე დღეს, როცა მხეცები ხელახლად ეახლნენ ლომს, მელიაც მიცუნცულდა, თავმდაბლად თავი დაუკრა და სალამი მიუძღვნა. ლომმა უსაყვედურა: სად იყავ, ამდენ ხანს რატომ არა მნახეო.

მელიამ თავი იმართლა: — „თქვენო დიდებულებავ, როცა თქვენი ავად-მყოფობის ამბავი გავიგე, თავზარდაცემული გავიქეც გიჟივით, ექიმებს დავეძებდი, ყველას ვსთხოვდი შველას და რჩევას, რა წამალი არგებს ჩვენს დიდებულს მეფესა მეთქი. მირჩიეს, მგელს ფეხი მოსტეხონ, კოჭი ამოართვან და ნადირთ მეფეს მიართვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივარდა ვეფხვი მგელს და მოსტეხა უკანა ფეხი. მგელს თქრიალით სისხლი წამოუვიდა, ფეხები სულ გაუწითლდა, და მწარე ღმუილით მოშორდა მხეცებს. უკან მელია გამოედევნა და მისძახოდა: „წითელ ჩექმებიანო, საით მიბრძანდები?„ როდესაც სიტყვას ამბობ, დაფიქრდი და სხვას ორმოს ნუ უთხრიო.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გასართობი

აიღეთ ჩაის, ანუ ღვინის ცარიელი ჭიქა. თუ გგონიათ, რომ მართლა ცარიელია, სცდებით. იმ ჭიქაში არის, როგორც საზოგადოთ ყველგან, ჰაერი. აავსეთ პირამდის წყლით. ჭიქაში ჰაერი აღარ დარჩება. თუ დარჩება ძრიელ ცოტა, ისიც წყალშ. არეული. შემდეგ ჭიქას დააფარეთ ქაღალდი,—ხელი არ აუშვათ,—მეორე ხელით ასწიეთ მაღ-



ლა და უცბად გადააბრუნეთ. როცა იმ ხელს, რომლითაც ქაღალდი გიჭირავთ, მოაცლით, ქაღალდი არ მოშორდება და წყალი არ დაიქცევა. წყალი რომ ჭიქიდგან გადმოიქცეს, გათავისუფლებული ჭიქაში ალაგი ჰაერმა უნდა

დაიჭიროს და ჭაერის ჭიქაში შესვლას-კი ქაღალდი უშლის. ზემოდ მოყვანილი სურათი აშკარად გვიჩვენებს ამას.

ვ. ნ

---

**გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი**

ქალი იჯდა ტახტზედა,  
ცრემლს ჰღვრიდა კალთაზედა.

ერთი სტუმარი მეწვია  
მიდღეში უსტუმრებელი;  
ორი ელუფა მივართვი,  
სუფრაზედ დაუდებელი.

---

**რ ე ბ უ ს ი**




---

მეთორმეტე №-ში მოთავსებული გამოცანების ახსნა,  
1) წისქვილი. 2 კუ.  
რებუსების ახსნა 1 მოვა ზიზო, 2 სურათი.

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი თუმანიშვილი